№ 27 7 თებერვალი, სამშაბათი 1866—1878 7 თებერვალი, სამშაბათი № 27

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ენით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდით გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

**ხელის-მოწერა**

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლებში).

ბ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

**ფასი გაზეთისა**

| | | |
|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . . . . . . . | 8 მან. | „ კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . . . . . . . | 4 „ | 50 „ |
| ოთხის თვისა . . . . . . . . . . . | 3 „ | „ „ |

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

## ტელეგრამმები

**ბრძოლის ველიდამ**

(ოფიციალური)

**ჰასსან-ყალა,** 5 თებერვალს. გუშინ, 4 თებერვალს ჰასსან-ყალაში მოვიდა წითელი ჯვრის საზოგადოების დანდობილი პირი უფ. დრუჟინინი, რომელმანც მოიტანა თან ავათმყოფობისათვის ძლიერ საჭირო სხვა-და-სხვა საგნები წონით 250 ფუთი.

—

**ვენა,** 7 თებერვალს. ნამდვილად ამბობენ, რომ ევროპის სახელმწიფოების კონგრესი შეიკრიბებაო. საფიქრებელია, რომ ეს კონგრესი, როგორც ავსტრიამ შემოიტანა წინადადება, შეიკრიბოს ბადენ-ბადენში.

**ლონდონი,** 3 თებერვალს. ინგლისის სტამბოლელ ელჩმა ტელეგრაფით აცნობა სტამბოლიდამ დერბის, 2 თებერვალს, რომ რუსეთის მეფემ ტელეგრამმა მისწერა ხონთქარსაო, რომ, თუ ინგლისის ფლოტი მივიდა სტამბოლში, მაშინ, იქაური ქრისტიანების დასაცველად, ისიც დაიჭერს თავის ჯარებით სტამბოლის არე-მარესო.

## ომის ამბები

**აზიის ბრძოლის ველიდამ**

**ალექსანდრაპოლი,** 2-ს თებერვალს. („დროების“ კორრესპონდენცია). დიდება შენთვის, ღმერთო! თითქო აქაური ზამთრის დარი ფეხ-და-ფეხ დასდევს ომიანობას ამ აზიის ბრძოლის ველზე! თითქო ეს ზამთარი, ვით მესამე პირი შორის ორთ მებრძოლთა, ცდილობდა ყოველის ღონისძიებით მებრძოლთ მოქმედების დაბრკოლებას და მით ჰყურდა მიეხდინა შერიგება!

ჩვენი ჯარების გალაშქრების დროს ანუ თვით ცხარი შეტაკების დროს მტერთან, უეჭველად მოიშლებოდა ხოლმე ჰაერი, დაიწყებდა ერთ-ორ დღეს თოვლი მოსვლას, მერე ბუქი, შემდეგ ცის მოწმენდა და ბოლოს ყინვები 20 გრადუსამდინ! შემდეგ, როცა შეჩერდებოდა ხოლმე მებრძოლთა შორის მოქმედება, მაშინ აქაურ ზამთრის მძვინვარებაც ცოტათი დამშვიდდებოდა ხოლმე. მაგალითად:

მუხთარ-ფაშის არმიის ყიზილ-თაფიდგან დაწევას მიუწერენ დაწინაურებულ ზამთრის მოქმედებასა.

ერთი კვირის წინ ყარსზე იერიშით მისვლისა და ზედ იმ ღამესაც ყოფილა ისეთი ხმელი სიცივე და ყინვები, რომ გათენებამდინ, მუდამ ღამეს, გიჟებივით, თითქოს ნიშადურ ამოსმულნი, დარბოდნენ ჩვენი სალდათებიო.

ადრე პირველ იერიშით მისვლის დროს არზრუმის სიმაგრეებზე დაებრკოლებინა ჩვენები ზამთრის ავდრობას.

ამას წინათ მოამზადეს აქ ალექსანდრაპოლში რუსებმა რამდენიმე მარხილები ციხის ასალები ზარბაზნების წასაღებათ ყარსიდგან არზრუმისკენ და ზედ ამ დღესვე დაიწყო ჯერ ნაფლეთ-ნაფლეთ მოსვლა თოვლმა, მერმე მოუწვრილა და ნაშუადღევს ადგა ერთი საშინელი ბუქი.—ეს იყო იანვრის 10-სა; მაგრამ ჩვენებმა ყური არ მიაქციეს და გაამგზავრეს ის მარხილები.

როცა ჩვენი კორპუსის კამანდირმა შეუთვალა იზმაილ-ფაშას, რომ არზრუმს, დაგვითმეო, იმ დროს კარგათ გამოუდარია. მაგრამ ჯარის მიღების შემდეგ კიდევ გაჯინჭყლებულა.

აგერ ეს მეორე კვირაა ახლა, რაც დროებით შერიგება მოახდინეს, და მძვინვარე ზამთარიც მსწრაფლ შეგვირიგდა; ხანდისხან გაკვრით-გამოკვრით გვახვენებს თავის არსებობას, რა არის, რომ მებრძოლთ არ ეგონოსთ მისი თავის დ.-ნებება და არ დაიწყონ ხელ-მეორეთ შეტაკება!

ყინვები და ბუქები აღარ არის, დროებით მორიგების გამო, მარგამ აქ კი შეშას კაცი წამლათ ველარ შოულობს. ბამბმარი სასუქიც აღარ იშოვება, თორემ შეშაზე ვილა დარდობს! შაქრის ბოქვეს გაუსვეს ხელი; წყვილი ბოქვა 15 მანეთად იყიდება.

ამასთანავე სხვა საქონლებიც: შაქარი გინდა, თუ ყავა, თუ სანთელი, თუ ხორცი (ცხვრისას ვერ იშოვით), პური, თუ სასმელეულობა (წყალი კი აქ ჯერ მუქთათ არის!),—სულ ესენი ისევ ისე, როგორც იტყვიან, ცეცხლის ფასად ისყიდება. მტყობა, აქაურ ვაჭრებს არ მოსვლიათ თავიანთ აგენტებისაგან დეპეშა თფილისიდგან საქონლის გაიაფ:

ამ ჟამად აქ არის შ
სია ქალაქის გასასუფთა
მისიას აქვს მინდობილ

რის, დაიაროს ვაჭრების სახლებში, და თუ შენიშნავს სადმე წამხდარ საქონელს, უნდა გადააყრევინოს იგი ქალაქის გარეთა... ამბობენ, რომ ერთს აქაურ ვაჭრის სახლში ამ კომისიის მწევრებს აღმოეჩინათ წამხდარი ხუთი ორმოც-ორმოცი ფუთიანი ბოჭკა დაკეფილი კომბოსტო და იმ წამსვე გადაეყრევინებინათ, თუმცა ბევრი ეხვეწნა პატრონს, რომ ნება მიეცათ კომბოსტოს გადაკეთებისა და გაყიდვისა...

გ. ზ—ძე

გაზეთს „ბირჟის უწყებებში" დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები ახლანდელს ომიანობაზედ:

„თავიდამვე, ჰერცოგოვინის აჯანყებისა-თანავე, ჩვენ იმ ჰაზრისა ვიყავით, რომ მშვიდობიანად, უბრძოლველად საქმის გათავება ამჯობინებდა. ოსმალოს ქრისტიანების ბედზე ზრუნვა მთელი ევროპის საქმე იყო და იმის შემწეობით შეიძლებოდა ამ საქმის გათავება. მით უფრო გვსურდ, ჩვენ მშვიდობიანად გათავება ამ განხეთქილებისა, რომ დარწმუნებული ვიყავით ერთის მხრით იმაში, რომ მარტო ერთი რუსეთი ამ საქმეს თავის ძალით ბოლოს ვერ მოუღებდა და მეორეს მხრით, ეს ომი ხალხს მძიმე ტვირთად დააწვებოდა კისერზე.

„აი ახლა: ჩვენ გამარჯვებული ვართ, ოსმალეთი დავამარცხეთ; ვსთქვათ მივაღებინეთ კიდეც მტერს ის შერიგების პირობები, რომელსაც ჩვენ ვთხოულობთ;—განა ამითი გათავდება საქმე? განა ამ ომით გადაწყდება „აღმოსავლეთის კითხვა? „განა რუსეთი თავის უგულითადესს ნატვრას შეასრულებს? ყველანი დაგვეთანხმებიან რომ—არა არა და არა."

—

თფილისელი კორრესპონდენტი გაზეთის „Presse"-ისა იწერება, რომ ღენერალი ლორის-მელიქოვი რუსებისაგან დაპყრობილი სომხეთის სამხედრო ღუბერნატორად ინიშნება.

—

გაზეთს „Indépendance Belge"-ში იწერებიან, რომ ბათუმის წინააღმდეგ რუსებს ამ ჟამად მხოლოთ 6,000 კაცამდინ ჰყავთ ხუც-უბანზე დაყენებულიო; ოსმალებს კი ქვირიკეზე, ციხის-ძირზე და თვითონ ბათუმში უკანასკნელი ორი ამოდენა ეყოლებათ. შემდეგ ხსენებული გაზეთის კორრესპონდენტი ამბობს:

„ამდენი ჯარებიც რომ არა ჰყავდეთ იქ ოსმალებს, უეჭველია, რომ რუსებს ამ მხრიდამ ბათუმის აღება მაინც არ შეუძლიანთ, რადგან ოსმალები აქ ისეთნაირად გამაგრებული არიან, რომ ოთხი ამდენი რუსის ჯარი რომ მიადგეს, ციხის-ძირის აღებას ვერ მოახერხებენ."

## შერიგების თაობაზე

გაზეთის „Daily News"-ის კორრესპონდენტი იწერება 21 იანვარს ტირნოვოდამ:

„დღეს გამოუცხადეს აქ რუსის ჯარებს დროებით შერიგება მტერთან. როგორც შევატყე, ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ ამ გამოცხადებით, რადგან შესვენებას მოელიან.

„პირველი პირობა დროებით შერიგებისა არის, რომ მტერმა არზრუმიდამ და დუნაის ციხე-ქალაქებიდამ გაიყვანოს თავის ჯარები. ამბობენ, რომ შუმლიდამ, ვარნიდამ და ბათუმიდამ ოსმალოები არ გაიყვანენ ჯარსაო. ამას გარდა იმასაც ამბობენ, რომ მორიგების პირობებში არის, სხვათა შორის, მოხსენებულიო, რომ რუსის ჯარმა დროებით (ერთის დღით) უნდა დაიჭიროს სტამბოლიო. როგორც მოგეხსენებათ, რუსის ჯარები ამ ჟამად 45 ვერსზედ არიან სტამბოლიდამ გაჩერებულნი."

—

„პეტერბურღის უწყებებში" ვენიდამ იწერებიან 27 იანვარს:

„სტამბოლიდამ მოვიდა აქ ამბავი, რომ რუსეთი და ოსმალეთი შეკრულან ერთმანეთში პირობით, რომ ერთად იმოქმედონ, თუ ვინიცობაა კიდევ ბრძოლა ატყდეს ევროპაში(?)

„ამბობენ, ანდრაში თანახმა არისო, რომ დრეზდენში ანუ ბადენ-ბადენში შეიკრიბოს კონფერენციაო."

—

გაზეთის „Times"-ის სიტყვით, მომავალს კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენლად დანიშნული იქნება ან ღენ. იგნატიევი და ან ახლანდელი რუსის ელჩი ინგლისში გრაფ შუვალოვი.

ინგლისის მხრით კი ორ პირს ამბობენ: საფრანგეთის ინგლისელ ელჩს ლეიონსსა და ჰენრი ელიოტს, რომელიც ამ ჟამად ვენაში იმყოფება ინგლისის ელჩად.

—

„მოსკოვის უწყებების" ბერლინელი კორრესპონდენტი იწერება 29 იანვარს ამ ქალაქიდამ, რომ, გარდა გერმანიისა, ყველა სახელმწიფოები აპირებენ სტამბოლში თავის ფლოტის გაგზავნასაო; გერმანია კი ამ საგნის შესახებ ინგლისის წინადადებაზე არ დათანხმდაო.

# საქართველო

## დღიური

⁂ მოგეხსენებათ, რომ ამ დღეებში გვეთხოვება ჩვენ საქართველოს ახლანდელი ექსარხოსი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ევსევი, რომელიც ამავე თანამდებობაზე გადაიყვანეს ნიჟნი-ნოვგოროდში. ჩვენ გვითხრეს, რომ გასულ კვირას უკანასკნელად სწირა ექსარხოსმა სემინარიის ეკკლესიაშიო. გავიგონეთ აგრეთვე, რომ წასვლის წინა დღეს გამოსათხოვარი სადილის გამართვას უპირობენ ქალაქშიო.

იმის მოადგილეთ, საქართველოს ექსარხოსად დანიშნულს მაღალ-ყოვლად უსამღვდელო იოანნიკიზედ ერთს რუსულ გაზეთში (ახალ დროებაში) ჩვენ წავიკითხეთ შემდეგი ამბავი:

„ამ დღეებში პეტერბურღში მოელიან ნიჟნი-ნოვგოროდის არხიეპისკოპოსს იოანნიკის. როგორც ნიჟნი-ნოვგოროდში აგრეთვე სარატოვში ამ არხიეპისკოპოსმა ბევრი პატივის-მცემელი და თანაგრძნობელნი შეიძინა, რადგან კეთილ-გონიერად და პატიოსნად განაგებდა თავის სამწყოს. ამიტომაც, ამბობენ, ბევრს ეწყინა იმის გადაყვანა იქიდამ.

„პეტერბურღში იოანნიკი მხოლოთ რამდენიმე დღეს დარჩება; შემდევ კი პირ-და-პირ თფილისში მიდის, სადაც ის საქართველოს ექსარხოსათ არის დანიშნული."

⁂ ამბობენ რომ ირაკლი მეფის კარის ეკკლესიის მღვდელს მამა მელითაურს ბევრი ხელთ-ნაწერი ქართული წიგნები დარჩენია და იმის მემკვიდრეებს მაგრად ზანდუკებში აქვთ თურმე დაკეტილი.

⁂ ამ სამი-ოთხი დღის წინათ, ქალაქის ბაყლებს ორმოც ფუთამდინ დამპალი ხახვი გაუტანიათ და რიყეზე დაუყრიათ. ამ ხახვისაგან, როგორც გვაცნობებენ, ამ ჟამად საშინელი მყრალი სუნი დგას რიყის ახლო-მახლო ადგილებში და კაცი პატრონი არ არის, რომ წყალში მაინც გადააყრევინონო.

⁂ გორიდამ გვწერენ, რომ ჩვენი „კრუჟოკის" საქმე ძალიან ცუდს მდგომარეობაში არისო, აღარავინ დაიარება თითქმის სულ, რადგან ყველანი თავ-თავიანთ სახლებში მართავენ ხოლმე კარტის თამაში და კლუბი კი ცარიელი რჩებაო. თუ ერთი რამ საშუალება არ იხმარეს სტარშინებმა, ჩვენს კლუბს გაკოტრება მოელისო და გორელები ქვეყანაში შერცხვებიანო! გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი.

⁂ სოფ. ქარელიდამ გვწერენ, რომ ამჟამად აქეთკენ საშინლად გავრცელებულია ქუთეშა და წითელაო. ბევრი ბავშვები იხოცებიან, და ექიმი, რასაკვირველია, არ არის, რომ ხალხს რამე დარიგება და საშუალება მისცესო.

⁂ სომხურ გაზეთს „მშაკში" იწერებიან ალექსანდრაპოლიდამ, რომ განჯის მხარეს ამჟამად საშინელი სიძვირე ჩამო-

ვარდაო, ფუთი ფქვილი, მაგალითად, სოფელში 2 მან. და 65 კაპეიკად იყიდებაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**სიღნაღი, 29 იანვარს.** ისე გაზეთი არ წამიკითხავს, რომ ყოველი მხრიდამ სიძვირეს არ უჩიოდნენ.

მაგრამ ჩვენი სიღნაღიდამ კი ენაც არავის დაუტოვებია, თითქო აქ ყველაფრის იაფობა იყოს! ან ვინ იტყოდა რასმე?

აქ ვინც არიან, თითქმის სულ სომხები და ესენი ჰაინუნშიაც არ აგდებენ ამ სიძვირეს, რადგანაც ყელთამდი სავსე არიან მეფე ერეკლეს დროინდელი ჭრელ-ჭრელი აბაზებით და ყვითელ-ყვითელი ბაჯაღლო ოქროებით. ამათ კიდეც უხარიანთ გუნებაში, რომ ევეთ სიძვირეს შეესწრნენ; უხარიანთ მისთვის უფრო, რომ ერთი-ათად ასაღებენ თავიანთ დამპალ საქონელს.

ამ საშინელი სიძვირის გამო, ჩვენს სიღნაღში, ყველაზე უფრო საცოდავნი და საბრალისნი მწერლები არიან, რომლებთაც სიცივისა და შიმშილისაგან მუცელი ეწვისთ და რომელთაც ქეციან ჭიშეებში თაგვები ლეკურსა თამაშობენ, თითონ ჩემი თვალით ვნახე მათი საცოდავი მდგომარეობა.

მუდამ თვის ოცს, როცა ჯამაგირს იღებენ მოდიან ამათთან აქური ვაჭრები და მთელი ჯამაგირი ნისიებში მიდის; შემდეგ ჯიბე-ცარიელნი და სევდით სავსე მწერლები შესჩივიან ერთმანეთს: „ვაი, გაგვიფრინდა სიყვარულის კამბეჩიო!“ სიყვარულის კამბეჩს ესენი რუმბს ეძახიან, საიდგანაც წითელი ღვინო შადრევანივით გადმოჰქუხდა და ეხლა კი ამ სიძვირეში გაუძვირდათ...

თუმცა ყოველისფერი მამასისხლად ფასობს ჩვენს სიღნაღში, მაგრამ ყველაზე მომეტებულათ ღვინის სიძვირე აწუხებს ჩვენებურ ხალხს და განსაკუთრებით მოქეიფე ყმაწვილებს: აღარა სჩანს მათ შორის კვალანდებული მხიარული მოძრაობა და ქეიფი; ყოვლისფერში სჩანს რომ გაფრენიათ „სიყვარულის კამეჩი.“

გ. ონელ-ღებელი

## წერილი რედაქტორთან

იმედი მაივს, უფ. რედაქტორო, მცირეოდენ ადგილს დაუთმობთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ ყურადღების ღირსს ამბავს, რომელიც ამ მოკლე ხანში, როგორც ნამდვილად მიამბეს, მომხდარა ჩვენი უეზდის ერთს სოფელს. საქმე აი რაში მდგომარეობს:

იმ სოფლის მღვდელს მ. ვ—ს ჰყოლია გასათხოვარი ქალი თვალ-ტანად მოსაწონი. მღვდელს ნდომია ამ ქალის მოშორება თავიდამ, რადგანაც დრო მოსვლია გათხოვებისა. ბევრ ყმაწვილ კაცთან ჩამოუგდია ლაპარაკი, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებით ამ მღვდელს სასიძოები ველარ მორიგებიან.

იმ ქალს, როგორც საზოგადოდ ყველა გასათხოვარ ქალს, ნდომია კარგი ქმარი, თვალ-ტანადი, ლამაზი და ნასწავლი; მაგრამ, საუბედუროდ, ვერავინ შეხვედრია, ამისთანა რადგანაც იმათ ბევრი მზითევი უთხოვნიათ და მღვდელს, თუმცა ამ ქალის მეტი არავინა ჰყავს თურმე და სარჩოც მოეპოებოდა, მაგრამ ვერა გაუმეტნია-რა და უძებნია იმისთანა კაცი, როგორიც უნდა ყოფილიყო, მხოლოთ ჩქარა გაეთხოვებინა და უმზითოთ წაეყვანა იმის ქალი.

ეს ამბავი მისულა ერთ ყმაწვილ-კაცთან იმავე სოფლის აზნაურისშვილთან, რომელიც გამოცხადებულა მსწრაფლ მღვდელთან და ქალი უთხოვნია იმ პირობით, რომ რაც გინდა, მამეციო. ამ გვარი წინადადება, რასაკვირველია, მღვდელს დიდის სიხარულით მიუღია და მაშინვე შვილთან გაქანებულა მეორე ოთახში მახარობლად; მაგრამ რაკი ქალს საქმროს გვარი და სახელი გაუგონია, გაუსავსავებია ხელი და უთქვამს: —მამავ, ერთ ლუკმა-პურს ნუ დამიჭერ შენს სახლშიდ და იმას კი ნუ მიმცემ, შენი ჭირიმე! თან წამოვარდნილა ყელზედ მოხვევია. მაგრამ შეუბრალებელი მამა გაჯავრებულა და უთქვამს: ჩემის სახლიდგან გაგაგდებ, თუ რომ ეს არ შეირთე! შემდეგ მტირალი ქალი დაუგდია სახლში და თვითონ გამოსულა.

მიზეზი დაწუნებისა ის ყოფილა ქალისაგან, რომ თვალ-ტანად საქმრო ძრიელ ნაზი ყოფილა და თითონ საცოლო რამდენჯერმე დაცინვით იტყოდაო, რომ ნეტავი იმ ქალს, ვისაც ეს შეხვდება საქმროთაო!

მღვდელს თავისი არ დაუშლია და კაცი გაუგზავნია სასიძოსთან: მოდი, ჯვარი დაიწერეო. სასიძოც სიხარულით გამოქცეულა, მოსულა და გამოცხადებია მღვდელს როგორც რიგია მაყრებით. მღვდელი შესულა ქალთან, უთქვამს ჩაიცვი ტანისამოსი ამ საათშიო და გამოდიო. ქალს ღრიალით უპასუხნია, რომ არ შეუძლიან მიეთხოვოს იმ კაცს. გაბრაზებულ მღვდელს ჩამოუვლია ხმლისთვის ხელი და მიუწევია შვილზედ. ქალს რომ თავის თავი საშიშროებაში დაუნახავს, ნუ მამკლამ, მამავ, მივეთხოვებიო, უთქვამს, ჩაუცვამს ტანისამოსი, გამოსულა სასიძოსთან და უთქვამს: ხომ დაგითხოვე, რომ შენ ქმრათ არ მინდიხარო, რიღას ნამუსით აიღე თავი და მოხვედი აქაო? ან რატომ არ იცი, რომ, თუნდა კიდეც შემირთო, მე შენი ცოლი არ ვიქნებიო?! ამ სიტყვების გამგონს მღვდელს ხელმეორეთ დაუწყვია თავის ძალა-მოქმედება, მაგრამ თავისივე შვილს დაუყენებია. წასულან ბოლოს და დაუწერიათ ჯვარი...

მომინდვია, უფალო რედაქტორო, თქვენთვის და წამკითხველთათვის ამ საქმის გარჩევა. მე არას ვიტყვი ამის მეტსა, რომ ჯერ სიყვარულითა და ერთმანეთის თანხმობით შერთული ცოლ-ქმარი რა არის, რომ ესე ძალ-დატანებული რა უნდა იყოს! მერე მე მიკვირს ეს მამა მღვდლისაგან, რადგან მღვდლის პირველი მოვალეობა ჯვრისწერაზედ ის არის, რომ ვაჟსა და ქალს პირველად ის უნდა ჰკითხოს: სურთ ერთმანეთი, თუ არა, და თუ რომ უთანხმობა გამოაცხადეს, მაშინვე უკანვე უნდა დააბრუნოს!......

N

გორი, 2 თებერვალს.


## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშანოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: ელერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურ-

## ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედ ველობა ში ქირის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

| | ფაეტონის | დროჟკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და უკან 1/2 საათი გაჩერება | 1 მან. 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ. | —2 „ — | „ 1 მან. 50 „ |
| —დამოქნამდინ | — 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან | 1 „ — | „ — „ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ. | — „ 80 | „ — „ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ | 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| რკინის გზამდინ და უკან | — — —1 „ 30 | „ — „ 90 „ |

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

---

გიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მაკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი - შინაგან ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და — ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათფმყოფი., ქიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალი ავათმყოფობის.

# განცხადებანი

### კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

რადგან ხშირად მოგვდის სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; რომ გვსურს ყარაიაზის მამული ვიყიდოთო, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ საქვეყნოთ გამოვაცხადოთ რომ 16,000 დესიატინიდამ ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, რომელნიც მომეტებული ნაწილი სარწყავი მამულებია.

**გაყიდვის პირობა** და **ფასი** უჩასტკებისა ისევ **ძველი რჩება.**

ვისაც ამ მამულების შეძენა ჰსურს და დაწვრილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების კანცელარიაში, გაიოვის ქუჩაზე, სახლი №7, ანუ ყარაიაზის გამგებელთან ივანე სტეფანეს ძეს ხატისოვთან—თფილისში, ლაბარატორიის ქუჩაზე, №15.

**გასასყიდი უჩასტკები:**

| არხი | უჩასტკა | დესიატინა |
|---|---|---|
| 3 — — — | № 5 — — — — | 44 |
| 4 — | №№ 6,7,8 და 9 — | 457 |
| 5 — | „ 10,11,12,13,14 და 15 — | 547 |
| 6 — — — — | 18 და 20 — | 100 |
| 7 — — — — | 27 — — — | 51 |
| 9 — — — — | 41 — — — | 131 |
| 10 — — — | 47 — — — — | 50 |
| 11 — — — | 53 და 58 — — | 170 |
| 14 — — | 8186 — — — — | 584 |
| 15— — — | 87—დამ 95—მდინ | 950 |
| 16 — — | 101,102 და 103 — | 450 |
| 16 — — | 110—დამ 115—მდი — | 750 |
| ჭანდარის არხზედ | 104—დამ 107— | 500 |

სულ — — — 4,784 დესიატინა.

---

**კავკაზიის სამეურნეო საზოგადოებაში** ისყიდება სრულიად სალი **ჭიის თესლი**, ყვითელი, იტალიის ჯიშისა; სულ გასასყიდლად არის 14 გირვანქა, და ისყიდება **მისხალი ექვს შაურად** გაგზავნით საიდამაც კი მოითხოვენ კავკაზიაში. ერთს პირს 10—50 მისხალზე.

ვისაც ამ აბრეშუმის თესლის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართოს ხსენებულს საზოგადოებას მიმავალ მარტის პირველ რიცხვამდინ, თან უნდა გამოგზავნოს ფული და თავის დაწვრილებული ადრესი.

ეს თესლი მოტანილია მილანიდამ 1876 წელს უფ. ზეიდლიცისაგან და 1877 წელს ფონ-ბახისაგან გაზრდილის ჭიისა არის, რომელიც ჩინებულად მოშენდა თფილისის მახლობლად და ავათმყოფი ჭიები სრულიად არ ყოფილა. 15 მისხლის თესლიდამ ფონ-ბახმა გააკეთა სამი ფუთი და ნახევარი პარკები, რომლისგან გამოვიდა 15 გირვანქა თესლი.

ამ თესლის პარკები საზოგადოების მუზეუმში არის საქვეყნოდ გამოფენილი.

---

**სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებელად.**

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება. (5—4)

---

**ჩაის მაღაზია**

# პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **ერევნის მოედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
**რაჟდენ ბედინიძე**

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის აქეთ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 თებერ. | | |
| ერთი ქაღალდი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 263 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 1/2 | - |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველის ს.) | 238 | 25 |
| მოგებიან. (მეორე სესხი) | 233 | 50 |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | | — |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის . . | 83 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკური . | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზ. ცე | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 5 თებერ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 10 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 45 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | — |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 5 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 90 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | — |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 80 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | 50 |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. . | 8 | — |

Дозволено цензурою Тифлисъ, 6 Февраля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.